

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირისთვის გადახდილი თანხის დაბეგვრა 2607

ფაქტობრივი გარემოებები

შპს „X“-მა 2017 წლის ნოემბრის თვეში მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმისგან შეიძინა 500 ლარის საქონელი.

თანხის გადახდა მოხდა იმავე წლის დეკემბრის თვეში.

საწარმოს აღნიშნულ ოპერაციებზე საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში არ განუხორციელებია.

შეფასება

სსკ-ის 98² მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად, დასაბეგრ ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, მიეკუთვნება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი საერთო წესით იბეგრება.

ამავე კოდექსის 97-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

სსკ-ის 98-ე მუხლის მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

ღონისძიებები

საწარმოს დაერიცხება მოგების გადასახადი და დეკლარაციაში თანხის შემცირებისათვის დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში შპს „X“ ვალდებული იყო, დეკემბრის თვის საანგარიშო პერიოდში დაერიცხა და გადაეხადა მოგების გადასახადი 88 ლარის ოდენობით ($500/0,85 \cdot 15\% = 88$).

- სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით
- სიტუაციური სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული მიდგომა ვრცელდება ასევე მომსახურების გაწევის მიმართ

ანოტაცია

„მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირისთვის გადახდილი თანხის დაბეგვრა“ №2607 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირისაგან საქონლის შეძენის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“-მა 2017 წლის ნოემბრის თვეში მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმისგან შეიძინა 500 ლარის საქონელი. თანხის გადახდა მოხდა იმავე წლის დეკემბრის თვეში. საწარმოს აღნიშნულ ოპერაციებზე საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში არ განუხორციელებია.

სსკ-ის 98²-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად დასაბეგრ ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, მიეკუთვნება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი საერთო წესით იბეგრება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

მოცემულ შემთხვევაში შპს „X“-ი ვალდებული იყო დეკემბრის თვის საანგარიშო პერიოდში დაერიცხა და გადაეხადა მოგების გადასახადი 88 ლარის ოდენობით ($500/0,85 \cdot 15\% = 88$).

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საწარმოს დაერიცხება მოგების გადასახადი და განგარიშებაში თანხის შემცირებისათვის დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად.